

გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის (ყოფილი 28 კათედრა) მიმართულების ისტორია

გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის მიმართულება (2007 წლამდე კათედრა) დაარსებულია 1941 წელს და ერთ-ერთი უძველესია ტექნიკურ უნივერსიტეტში. კათედრის პირველი გამგე იყო ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკად. ა. ჯანელიძე (1941წ.). შემდგომში კათედრას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-პალეობიოლოგი აკად. ლ. დავითაშვილი (1941-1946 წ.წ.) და პროფ. გ. ხარატიშვილი (1946-1981 წ.წ.).

1981 წლიდან კათედრის გამგეა პროფ. თ. ლომინაძე, რომელიც 2007 წლიდან ამავე სახელწოდების მიმართულების კოორდინატორია.

სხვადასხვა წლებში აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერ-გეოლოგები: ა. ცაგარელი, ლ. გაბუნია, ა. ლალიევი, მ. უზნაძე, მ. კაჭარავა, გ. გუჯაბიძე, ნ. ქუჩულორია, ა. კვერნაძე, გ. მაღალაშვილი, ი. კვანტალიანი, ზ. სახელაშვილი და სხვ.

ძირთადი სასწავლო დისციპლინებია: "ზოგადი გეოლოგია", "ისტორიული გეოლოგია", "რეგიონული გეოლოგია", "პალეონტოლოგია", "გეომორფოლოგია", "მეთოთხეულის გეოლოგია". მიმართულება ხელმძღვანელობს აგრეთვე ბაკალავრთა ზოგადგეოლოგიურ პრაქტიკას. თანამშრომელთა მიერ შექმნილია მრავალი სახელმძღვანელო და მეთოდური მითითება, მათ შორის: გ. ხარატიშვილი

"ისტორიული გეოლოგია" (1974), გ. გუჯაბიძე "ზოგადი გეოლოგია" (1976), ლ. დავითაშვილი "პალეონტოლოგიის მოკლე კურსი" (მთარგმნელი - ნ. ქუჩულორია, 1985), ნ. ქუჩულორია "პალეონტოლოგიის მოკლე კურსი" (1989), ა. კვერნაძე, შ. კელეპტრიშვილი "გეომორფოლოგია და მეთოთხეულის გეოლოგია" (1997), მ. შარიქაძე, შ. კელეპტრიშვილი "ზოგადი გეოლოგიის ლაბორატორიის კურსი" (2009, ელ. ვერსია).

მიმართულებას აქვს მაგისტრატურა და დოქტორანტურა სპეციალობით "პალეონტოლოგია და სტრატეგრაფია". მაგისტრატურაში იკითხება შემდეგი სასწავლო დისციპლინები: გეოლოგიის საფუძვლები, პალეონტოლოგიის სპეციალური კურსი, კავკასიის გეოლოგია, პალეოეკოლოგია და ტაფონომია, სტრატეგრაფიული კვლევის მეთოდები (ბიოსტრატეგრაფია), ფაციესური ანალიზი, პალეოგეოგრაფია.

მიმართულებასთან ფუნქციონირებს პროფ. გ. ხარატიშვილის სახელობის მუზეუმი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ანალოგიურ მუზეუმებს შორის (გამგე - დოქტორანტი ი. კოკოლაშვილი). მუზეუმი ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორ პროფორიენტაციას. მიმართულების წევრთა მიერ სკოლებში ტარდება ლექცია-საუბრები. მოსწავლე-ახალგაზრდობა ხშირი სტუმარია მუზეუმისა, რომლის დიდ წარმატებაზე ნათლად მეტყველებს ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში. უკანასკნელ წლებში მუზეუმს შეემატა რამდენიმე ახალი ექსპონატი. სისტემაში იქნა მოყვანილი და გადახალისდა კოლექციები. შეიქმნა მონოგრაფიული განყოფილებაც.

მიმართულებასთან ფუნქციონირებს, აგრეთვე, მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც დიდ სამსახურს უწევს როგორც თანამშრომლებს, ასევე ბაკალავრებს, მაგისტრანტებს და დოქტორანტებს.

სამეცნიერო - კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ა) კავკასიის და მოსაზღვრე რეგიონების მეზოზოურ-კაინოზოური ნალექების ბიოსტრატეგრაფია და ბ) თავფეხიანი

მოლუსკების პალეობიოლოგია. ამ მხრივ არის თვალსაჩინო მღწევებიც, რაც აისახა ჩვენთან და უცხოეთში გამოქვეყნებულ ნაშრომებში (15 მონოგრაფია და 400-მდე სამეცნიერო სტატია). თანამედროვე პალეონტოლოგიურ-სტრატეგრაფიულ კვლევებში წამყვან როლს იკავებს ელექტრონული მიკროსკოპია, რომლის საშუალებითაც ხდება ცხოველთა განამარხებული სკელეტის შიგა სტრუქტურების შესწავლა. ამ სახის კვლევების საფუძველზე კათედრის თანამშრომლებმა დაადგინეს მეზოზოური თავფეხიანი მოლუსკების ფილოგენეზური კავშირები და შექმნეს მათი ახალი სისტემატიკა. დღეისათვის მონოგრაფიულად არის შესწავლილი იურული და ცარცული ამონოიდების და ბელემნოიდების მრავალი ჯგუფი. ჩატარებულმა კვლევებმა ხელი შეუწყო ევროპის სამხრეთი ზოლის მეზოზოური ნალექების დეტალურ ბიოსტრატეგრაფიულ დანაწილებას. შედგენილია სტრატეგრაფიული სქემები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული საქმიანობისათვის.